

ტესტი სტუდენტების საბრანტო კონკურსისათვის

ტესტი შედგება სამი ნაწილისაგან:

1. წაკითხულის გააზრება – 21 ტესტური დავალება.
2. ლოგიკური მსჯელობა – 14 ტესტური დავალება.
3. რაოდენობრივი მსჯელობა – 7 ტესტური დავალება.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0, 2 ქულა (ანუ იწერება -0, 2 ქულა).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 42.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი და 35 წუთი. ტესტის ნაწილების შესრულების თანმიმდევრობას არა აქვს მნიშვნელობა.

გისურვებთ წარმატებას!



წაკითხულის გააზრება

21 შეკითხვა

ტექსტი A

- I როგორც ცნობილია, დემოკრატია, როგორც მმართველობის ფორმამ, საბერძნეთში ძვ. წ. V ს-ში საკმაოდ განვითარებული სახე მიიღო. თანამედროვეობის გადასახედიდან ანტიკურობის ყველაზე მოწინავე ქვეყნისთვის ეს არც არის გასაკვირი, მაგრამ როგორც მეცნიერული კვლევა გვიჩვენებს, დემოკრატიის ელემენტებს უფრო დაბალი სოციალური განვითარების ეთნოსებშიც ვხვდებით, თვით პატრიარქალური საზოგადოების წიაღშიც კი.
- II სახელმწიფო მოწყობის დონეზე მსგავსებები შეიძლება აღმოვაჩინოთ ადრეულ, ძველბერძნულ პოლისებსა და ქართულ თემს შორისაც, რისი დადასტურებაც სავსებით შესაძლებელია ანტიკური წყაროებისა თუ ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით. შემდგომ კი ისტორიული განვითარების გზები გაიყო: ანტიკურ სამყაროში თემები პოლისებად ჩამოყალიბდნენ, საქართველოში კი ისინი ფეოდალურ მონარქიებში გაერთიანდნენ. გარკვეული ტიპოლოგიური დაახლოება შეიმჩნევა გვიანდელ რომის იმპერიას, განსაკუთრებით, მის მემკვიდრე ბიზანტიასა და ერთიან ქართულ მონარქიას შორის.
- III ანტიკურ ქვეყნებს, მათ შორის, პოლისებამდელ მიკენურ სამყაროსაც, სახელდებული ფენების, წოდებების არსებობა აახლოებს ევროპულ თუ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებებთან და მკვეთრად მიჯნავს ძველადმოსავლური სახელმწიფოებისაგან, სადაც „თავისუფალ კაცთა“ დაყოფა მხოლოდ მეფის კარზე მათი თანამდებობით ხდებოდა.
- IV ათენსა თუ რომში ადრეულ სტადიაზე უმაღლესი თანამდებობები მხოლოდ წარჩინებულების – ევპატრიდებისა და პატრიციების ხელში იყო. ამით ანტიკური პოლისები გარკვეულ სიახლოვეს იჩენს ადრეფეოდალურ საზოგადოებასთან, მათ შორის, ქართულთან. ანტიკურ სამყაროში, დროთა განმავლობაში, ამ თანამდებობების დაკავება ნებადართული გახდა მოქალაქეთა სხვა ფენების წარმომადგენლებისთვისაც, თუმცა, ეს ფაქტი შეიძლება დავუკავშიროთ არა იმდენად საზოგადოების დემოკრატიზაციას, რამდენადაც ცვლილებებს ელიტის შემადგენლობაში. თუ საწყის ეტაპზე ელიტა არისტოკრატიული იყო, მოგვიანებით ადამიანის ადგილი საზოგადოებაში განისაზღვრებოდა მისი ქონებრივი მდგომარეობით. ევპატრიდებისა და პატრიციების მაგივრად, მოგვიანებით, სოციალური კიბის თავში ვხედავთ პენტაკოსიომდიმნოსებისა და სენატორთა წოდებებს, რომლებიც ქონებრივად ჯერ კიდევ ძლიერ წარჩინებულებსა და გამდიდრებულ უაზნოებს მოიცავდნენ. „განდიდებული მდაბიოს“, „მესამე წოდების“ ინტეგრაცია ელიტარულ წრეებში გვაგონებს პროცესებს ახალი დროის დასაწყისის ევროპაში, გადასვლას ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე. საქართველოში ეს პროცესი ძალზე შეფერხდა და მხოლოდ XIX საუკუნიდან წარიმართა უკვე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ქართული სამეფო-სამთავროების მოქცევის შემდეგ, რის გამოც ამ პროცესს წმინდა ქართულად ვერ მივიჩნევთ.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

V გარკვეული პარალელები სახელმწიფო მოწყობაში, სოციალური ფენებისა და ეკონომიკის ფუნქციონირების საკითხში ანტიკურსა და ახალი დროის დასავლურ სამყაროს შორის დაედო საფუძვლად ანტიკური კაპიტალიზმის თეორიას, რომელიც ძალზე პოპულარული იყო XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე.

VI ამის გვერდით, ამერიკული აბოლიციონისტური მოძრაობის ფონზე, ანტიკურობის შესწავლისას დიდი ყურადღება მიექცა ანტიკურ მონობას. მარქსისა და ენგელსის მიერ ანტიკური სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური წყობა განისაზღვრა როგორც მონათმფლობელური, რაც საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში უკვე ოფიციალურ დოგმად გადაიქცა.

VII მართლაც, მონობას ანტიკურ სამყაროში, განსაკუთრებით, კლასიკური ხანის ათენსა და რომში, გვიანი რესპუბლიკიდან მოყოლებული, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ, როგორც უკანასკნელი საუკუნის მანძილზე წარმოებული კვლევა წარმოაჩენს, მონური შრომა არ იყო წამყვანი ეკონომიკის ძირითად სფეროებში. შესაბამისად, თავად მარქსისტული მეთოდოლოგიით, ანტიკური სამყარო მონათმფლობელურად ვერ მიიჩნევა.

VIII გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც ანტიკურ ტექსტებში დულოს და სერვუს ტერმინებით მოიხსენიება, ნამდვილად ვერ ჩაითვლება მონად თანამედროვე საზოგადოებრივი მეცნიერებების თვალსაზრისით. ეს ტერმინები ასახავს ზოგადად მსახურის მდგომარეობას, სტატუსს და დროთა განმავლობაში იცვლიდა მნიშვნელობას. მიკენურ სამყაროში თუ პატრიარქალურ თემში ამ სტატუსის ხალხი ბატონის სახლში, ოიკოსში დასაქმებული მომსახურე პერსონალია, მათ შორის პირადად თავისუფალნიც და ტყვეებიც. გარკვეული ეტაპიდან, (მაგ., საბერძნეთში ძვ. წ. VI ს-დან) „თავისუფლება“ და „არათავისუფლება/მონობა“ სამართლებრივ სტატუსად იქცა და ეს ტერმინებიც (დულოს და სერვუს) იურიდიულად არათავისუფალი ხალხის ფართო ფენებზე გავრცელდა. მათ შორის იყვნენ სპარტელი ჰელოტებიც, რომლებიც უფრო სახელმწიფო თუ არისტოკრატიის კოლექტიურ საკუთრებაში მყოფ ყმა-გლეხებს წარმოადგენდნენ, ნაყიდი სკვითებიც, რომლებიც ათენში პოლიციურ ფუნქციებს ასრულებდნენ და ნამდვილი მონებიც – სხვის საკუთრებაში მყოფი სრულიად უუფლებო და უქონელი პირებიც.

IX ქართულ სინამდვილეში გაჭირდება კლასიკური ათენისა თუ რომის მონების ანალოგიური ფართო სოციალური ჯგუფის მოძებნა, თუმცა ანტიკური სამყაროს არათავისუფალთა ნაირგვარ ჯგუფებს შეიძლება მოეძებნოს ქართული ანალოგები, ყმებისა თუ სხვა არათავისუფალი, თავისუფლებაშეკვეცილი ხალხის სახით, რაც დამატებით არგუმენტს გვაწვდის ანტიკური და ქართული მასალის შედარების მართლზომიერებისათვის.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

1. როგორ არის შეფასებული ტექსტში ანტიკურ ქვეყნებში სახელდებული ფენების, წოდებების არსებობა?

ეს ფაქტი

- (ა) აახლოებს მათ უფრო ევროპულ საზოგადოებებთან და განასხვავებს როგორც ქართული, ისე აღმოსავლური სახელმწიფოებისაგან.
- (ბ) ავლენს იმ ზოგად ტენდენციას, რომელიც საერთოა როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური სამყაროსთვის.
- (გ) აახლოებს მათ ევროპულ, ასევე, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებებთან და მიჯნავს ძველ აღმოსავლური სახელმწიფოებისაგან.
- (დ) ადასტურებს, რომ ეს ანტიკური სამყაროსთვის დამახასიათებელი უნიკალური მოვლენა იყო.
- (ე) ავლენს მჭიდრო მსგავსებას მხოლოდ ძველბერძნულსა და რომაულ სახელმწიფო მოწყობათა შორის.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

2. რა ინფორმაციას გვაწვდის ავტორი ანტიკურ სამყაროში მონობის შესახებ?

- (ა) ანტიკური სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური წყობა უდავოდ მონათმფლობელურია.
- (ბ) ადამიანები, რომლებიც დულოს და სერვუს ტერმინებით მოიხსენიებიან, მონებს წარმოადგენდნენ.
- (გ) ანტიკურ სამყაროში ნამდვილ მონებად მიიჩნეოდნენ ნაყიდი სკვითებიც და სპარტელი ჰელოტებიც.
- (დ) ანტიკურ სამყაროში, მაგალითად, საბერძნეთში, მონობა არ ქცეულა სამართლებრივ სტატუსად.
- (ე) ანტიკურ საბერძნეთში მონური შრომა არ იყო წამყვანი ეკონომიკის ძირითად სფეროებში.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

3. ცნობილია, რომ ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობები მხოლოდ წარჩინებული გვარების წარმომადგენლებს ეძლეოდათ; რაც აისახა კიდევ თანამდებობების სახელწოდებათა გვარად გადაქცევაში – ამილახვარი, ამირეჯიბი, ერისთავი და სხვ.

ტექსტის რომელ აზნაცს/აზნაცებს შეესაბამება ეს არგუმენტი?

- (ა) მხოლოდ I-ს.
- (ბ) მხოლოდ I-ს და II-ს.
- (გ) როგორც II-ს და III-ს.
- (დ) მხოლოდ I-ს და IV-ს.
- (ე) მხოლოდ III-ს და IV-ს.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

4. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ დასტურდება ტექსტში?

(ა) როგორც ათენში, ისე რომში ადრეულ სტადიაზე უმაღლეს თანამდებობებს მხოლოდ წარჩინებულნი, ანუ ელიტის წარმომადგენლები იკავებდნენ.

(ბ) ათენსა და რომში ცვლილებები ელიტის შემადგენლობაში, თავდაპირველად, განსაზღვრა უფრო მოქალაქეთა ქონებრივმა მდგომარეობამ, ვიდრე – საზოგადოების დემოკრატიზაციამ.

(გ) ანტიკური სამყაროს შესწავლისას მონობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ამერიკული აბოლიციონისტური მოძრაობის ფონზე.

(დ) საბჭოთა კავშირში, აღმოსავლური ქვეყნების ბლოკისაგან განსხვავებით, ანტიკური სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური წყობა განისაზღვრა როგორც მონათმფლობელური და ეს მიდგომა დოგმად იქცა.

(ე) მონობას ანტიკურ სამყაროში, განსაკუთრებით, კლასიკური ხანის ათენსა და რომში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>	<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>
-----------------	-------------------	-------------------	-------------------	-------------------	-------------------	-------------------	-------------------	-------------------

5. ტექსტის მიხედვით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ქართული სამეფო-სამთავროების მოქცევამ რას შეუცვალა დამოუკიდებლად, თავისთავად განვითარების გზა?

- I. ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბებას.
- II. გადასვლას ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე.
- III. არისტოკრატიული ელიტის წარმოქმნას.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) მხოლოდ I და III.
- (ე) სამივე.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

6. ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს ტექსტიდან?

- I. ავტორი წარმოაჩენს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც დემოკრატიის ელემენტები თვით პატრიარქალური საზოგადოების წიაღშიც არსებობდა.
- II. ავტორის აზრით, ანტიკური და ქართული მასალების შედარების ერთ-ერთი არგუმენტია ანტიკური სამყაროს არათავისუფალთა ჯგუფების ქართული ანალოგის, მაგალითად, ყმების არსებობა.
- III. ავტორი ადასტურებს, რომ ქართულ სინამდვილეშიც არსებობდა კლასიკური ათენისა თუ რომის მონათა ანალოგიური ფართო სოციალური ჯგუფი.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I და II.
- (ბ) მხოლოდ I და III.
- (გ) მხოლოდ II.
- (დ) მხოლოდ II და III.
- (ე) სამივე.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

7. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა გამოთქმული მართებულად ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში?

- (ა) ქართული ეთნოგრაფიული მასალის ფარგლებში ვერ მოხერხდება რაიმე ანალოგის მოძიება ძველბერძნულ პოლისებსა და ქართულ თემს შორის.
- (ბ) შესაძლებელია ითქვას, რომ ერთიანი ქართული მონარქია ტიპოლოგიურად ახლოს არის ბიზანტიის სახელმწიფო მოწყობასთან.
- (გ) წყაროებით დასტურდება, რომ, ისევე როგორც ანტიკურ სამყაროში, საქართველოშიც თემები პოლისებად ჩამოყალიბდნენ.
- (დ) ქართულ სინამდვილეშიც მოეძებნება ანალოგი მონების იმგვარ ფართო სოციალურ ჯგუფს, როგორსაც კლასიკურ ათენსა და რომში ვხვდებით.
- (ე) ძველ საქართველოში თემები ფეოდალურ მონარქიებად გაერთიანდნენ ძველი საბერძნეთის სახელმწიფო მოწყობის ანალოგიით.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

8. ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს მართებულად ტექსტის მეორე და ბოლო აზრებს შორის მიმართებას?

(ა) მეორე აზრებში წარმოჩენილია ქართული სინამდვილის გარკვეული მსგავსება უშუალოდ გვიანდელი რომის იმპერიასთან, ბოლო აზრებში კი – კლასიკურ ათენთან.

(ბ) მეორე აზრებში გამოკვეთილია ტიპოლოგიური მსგავსება ანტიკურ სამყაროსა და ევროპულ, ასევე, ქართულ სინამდვილეს შორის, ბოლო აზრებში კი – განსხვავება.

(გ) როგორც მეორე, ისე ბოლო აზრებში წარმოჩენილია მკვეთრი განსხვავება ანტიკური სამყაროსა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიული განვითარების გზებს შორის.

(დ) როგორც მეორე, ისე ბოლო აზრებში გამოკვეთილია ანტიკურ სამყაროსთან გარკვეული ანალოგების მოძიების შესაძლებლობა საქართველოს ისტორიაში და მოწოდებულია შესაბამისი მაგალითები.

(ე) მეორე აზრებში გამოვლენილია ანტიკურ სამყაროსა და საქართველოს ისტორიას შორის გარკვეული ანალოგების მოძიების მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა, ბოლო აზრებში კი წარმოდგენილია სხვადასხვა კონკრეტული მაგალითი.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

ტექსტი B

ძველ ბერძენთა მიერ ფერების აღქმა მკვლევართათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა. ამ საკითხზე დისკუსია XIX ს-იდან დაიწყო. ბერძენთა ქრომატული აღქმის განსხვავებულობის შესახებ თვალსაზრისი პირველმა გოეთემ გამოთქვა 1810 წელს. მწერალი აცხადებდა, რომ ძველი ბერძნებისთვის ყველა ფერი სიბნელიდან და სინათლიდან, თეთრისა და შავისაგან, იყო წარმოქმნილი, მათ შორის იყო მოთავსებული და ამ ორი ფერის შერევით მიიღებოდა. ამასთან, გოეთეს მიხედვით, ფერთა ტერმინები ბერძნებს ზუსტად განსაზღვრული არ ჰქონდათ. ისინი ცვალებადი იყო: ყვითელი იხრებოდა, ერთი მხრივ, წითლის, მეორე მხრივ – ლურჯისკენ; ლურჯი ხან მწვანეა, ხან – წითელი, და ა. შ. ამავე ნაშრომში გოეთე, რომლისთვისაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის თვალის მიერ შექმნილ ფერს, ნიუტონის წინააღმდეგ ილაშქრებდა, რადგან ნიუტონი, ვიზუალური ცდების შედეგებზე დაყრდნობით, ფერთა აღქმისას სრულიად უგულებელყოფდა გრძობად თვალს, მის განცდებს. საფიქრებელია, რომ ძველ ბერძენთა მისტიკურმა კონცეფციამ, რომლის თანახმადაც თვალი იყო საგნის „მონათესავე“ და, შესაბამისად, „მზისგან შობილი“, შთააგონა გოეთეს მისივე ცნობილი სიტყვები: „თვალი მზისა რომ არ ყოფილიყო, სინათლეს როგორ აღვიქვამდით? ღმერთის ძალა რომ არ მკვიდრდებოდეს ჩვენში, როგორ აღგვაფრთოვანებდა რაიმე ღვთაებრივი?“ მწერლის აზრით, თვალი ხედავდა იმ ფერს, რომელსაც თვითონვე ქმნიდა და სწორედ ეს სუბიექტურობა აღქმისა იყო ობიექტური კანონი, რადგან ყველა ადამიანის თვალი თავის არსში ერთ ძირითად კანონს ემორჩილება.

შემდეგ ირვინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბერძენ მოაზროვნეთა გარდა, გოეთეს შეხედულებებზე დალტონის¹ თეორიასაც უნდა ჰქონოდა გავლენა, რადგან შესაძლებელია, რომ მწერლის შენიშვნა ბერძენთა უცნაური ქრომატული აღქმის თაობაზე სწორედ დალტონიზმის შუქზე აიხსნას, როგორც ბერძენთა „დეფექტური მხედველობის“ შედეგი.

გოეთეს ნაშრომის გამოქვეყნებიდან 48 წლის შემდგომ კი გლედსტოუნმა გაიმეორა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ძველ ბერძნებთან ფერთა აღმნიშვნელი ტერმინების საფუძველი სიბნელისა და სინათლის კონტრასტია. ამასთან, მან განაცხადა, რომ ისტორიის ადრეულ ეტაპზე მცხოვრებთ ფერების აღქმის სუსტი უნარი ჰქონდათ. ამ აზრის საილუსტრაციოდ გლედსტოუნი ჰომეროსის პოემებს აანალიზებს.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

¹დალტონი – ინგლისელი მეცნიერი, რომელიც მხედველობის ოპტიკურ თავისებურებებს იკვლევდა. დღეს მხედველობის თავისებურებების ამ ფენომენს „ფერთა სიბრმავე“ – დალტონიზმი ეწოდება.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ჰომეროსთან ფერთა გამა ღარიბია, ყველაზე ხშირად გვხვდება მარტივი – თეთრი და შავი – ფერები და სხვანი განიხილება, როგორც უბრალოდ შუალედურნი ამ ორ „უკიდურესობას“ შორის. მკვლევრის მიხედვით, ჰომეროსი ერთი და იმავე საგნის მახასიათებელ ეპითეტებად ურთიერთგამომრიცხავ ფერებს იყენებს. ასევე, ერთი და იგივე სიტყვა გამოიყენება სხვადასხვა ფერის აღსანიშნავად. ფერი, როგორც მშვენიერების აღწერის ატრიბუტი, მასთან ნაკლებად გვხვდება. მეცნიერის დასკვნით, მიზეზი ამისა ის იყო, რომ ჰომეროსის ეპოქაში მხედველობის ორგანო ჯერ კიდევ ჩანასახის სტადიაში იმყოფებოდა. გლედსტოუნი, უმთავრესად, სახეობათა ევოლუციის შესახებ არსებულ მოსაზრებას ეყრდნობოდა, რომელიც **დარვინის** ნაშრომის გამოქვეყნებამდე იყო გამოთქმული. ამ მეცნიერული მოსაზრების მიხედვით, არსებობენ ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც აღიქვამენ და ერთმანეთისაგან არჩევენ სიბნელესა და სინათლეს, მაგრამ არა – ფერს.

დარვინიზმის განვითარების შემდეგ ძველ ბერძენთა ქრომატული ხედვის კვლევა „ევოლუციური“ მიმართულებითაც წარიმართა, თუმცა, დალტონიზმის ვერსიაც თავის პოზიციას არ თმობდა. 1877 წელს **მაგნუსმა** განავითარა ევოლუციონისტების თეორია და განაცხადა, რომ თავიდან ადამიანი აღიქვამდა სინათლეს და არა – ფერს; შემდგომ აღიქვა წითელი, რასაც მოჰყვა ყვითლისა და მწვანის აღქმაც; სულ ბოლოს კი სინათლის მხრივ ყველაზე სუსტი ფერები, ლურჯი და იასამნისფერი გაარჩია. მაგნუსმა ფერის აღქმის ასეთი განვითარება თვალის მემბრანის ევოლუციას დაუკავშირა.

მარტიმ მაგნუსის თეორია დედუქციური მეთოდის უგულვებელყოფის გამო გააკრიტიკა. მისი აზრით, არ არსებობდა არავითარი მტკიცებულება, რომლის თანახმადაც უცივილიზაციო ტომები ცივილიზებული ხალხებისაგან განსხვავებულად აღიქვამენ ფერებს. მარტის მიხედვით, არქეოლოგიური მასალა მოწმობდა იმას, რომ ბერძნები ფერების ფართო სპექტრს ხედავდნენ. ქრომატული ტერმინები, მეცნიერის აზრით, იმიტომ იყო ბერძნებთან არასრულყოფილი, რომ ძველ საბერძნეთში არ არსებობდა ტექნიკური ფერების შექმნის საჭიროება. რაც შეეხება ლიტერატურაში ფერების უცნაურ გამოყენებას, ეს მეცნიერმა პოეტური ხედვისა და ენის თავისებურებებს დაუკავშირა. მარტის თეორიის ცალკეული ნაკლოვანების მიუხედავად, მის ნაშრომს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეცნიერმა მკაფიოდ აჩვენა საზოგადოებას, რომ ანტიკურობაში ფერის აღქმის კვლევისას მარტო ფიზიოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება არ იყო საკმარისი.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

მარტის კვალდაკვალ ევოლუციონისტების თეორია ალენმაც გააკრიტიკა. მისი აზრით, მაგნუსი ევოლუციას დროის ძალზე მცირე მონაკვეთში მოიაზრებდა, რაც არ დასტურდებოდა ფაქტობრივი მასალით. ალენმა „ნაკლებად ცივილიზებულ რასასთან“ მომუშავე პირებისათვის სპეციალური კითხვარი შეიმუშავა. მათ უნდა გაეცათ პასუხი შეკითხვებზე, მათ შორის: „არჩევენ თუ არა მოცემული ჯგუფის წარმომადგენლები ორ ფერს, ვთქვათ, ლურჯსა და მწვანეს ერთმანეთისაგან?“ „გააჩნიათ თუ არა მათ სხვადასხვა სიტყვა ლურჯისა და მწვანის აღსანიშნავად?“ ალენის კითხვარმა ვერ დააფიქსირა ვერცერთი შემთხვევა იმისა, რომ „ნაკლებად ცივილიზებულ ადამიანებს“ ფერთა გარჩევა არ შეეძლოთ, თუმცა, მათი აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინი ყველა ტომს არ აღმოაჩნდა.

ძველ ბერძენთა ფერთამეტყველების შესახებ ერთ-ერთი პოპულარული ნაშრომი პლატონოს ეკუთვნის (1921 წ.). მისი თქმით, თანამედროვესთან შედარებით, ფერთა ძველბერძნული ტერმინოლოგია აშკარად ნაკლებია. პლატონი ერთგვარად არბილებს ბერძენთა დალტონიზმის ვერსიას და აცხადებს, რომ თუ მათ დეფექტური მხედველობა არ ჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, ფერები მათზე გაცილებით ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენდა, ვიდრე თანამედროვე ადამიანზე. ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ხარისხობრივ განსხვავებას დაშლილ ან შთანთქმულ სინათლეს შორის. ძველ ბერძენთათვის ფერებს შორის განსხვავება უფრო რაოდენობრივი იყო, ვიდრე – ხარისხობრივი. შავი და თეთრი მიიჩნეოდა ფერად, ხოლო დანარჩენი სხვა კი ჩრდილები იყო. არ არსებობდა რეალური განსხვავება ქრომატულსა და აქრომატულს შორის, საგნის ზედაპირს ან მის ბრწყინვალეობას ჰქონდა მნიშვნელობა და არა – შეფერილობის ნიუანსებს. საგულისხმოა, რომ შემდგომში მაქსუელ-სტიუარტმა ძველ ბერძენთა დალტონიზმის ვერსიის საფუძვლიანი კრიტიკა შემოგვთავაზა (1981 წ.)...

ვფიქრობთ, ძველ ბერძენთა ქრომატული ტერმინების მნიშვნელობის დასადგენად, აუცილებელია, ფერის აღმნიშვნელი თითოეული ტერმინი ცალკე იყოს შესწავლილი ყველა იმ კონტექსტში, რომლებშიც ის გვხვდება. მხოლოდ ასე შეიძლება საბოლოოდ გაირკვეს ძველ ბერძნულ ქრომატულ ტერმინთა სემანტიკური ველი. თუმცა, ძველ ბერძენთა მიერ ფერთა აღქმის პრობლემა მხოლოდ ქრომატული ტერმინების ზუსტი მნიშვნელობის დადგენით ვერ გადაწყდება; რადგან ფერი არა მხოლოდ ფიზიკური და ქიმიური, ფიზიოლოგიური და ლინგვისტური, არამედ ზოგადად კულტუროლოგიური ფენომენია, მისი კვლევა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ფერის შესწავლის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ლიტერატურული, ეთნოგრაფიული, პლასტიკური, ფერწერული მასალა, რელიგიურ-მითოლოგიური და რიტუალური ასპექტები, სიმბოლიკა და თვით მაგიაც კი.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

9. რა არის ტექსტის ავტორის ძირითადი მიზანი?

(ა) გაგვაცნოს ფერთა აღმნიშვნელი ძველი ბერძნული ტერმინები და მათი შესწავლის ისტორია.

(ბ) წარმოაჩინოს მკვლევართა თეორიები ძველ ბერძენთა მიერ ფერთა აღქმის შესახებ და გამოკვეთოს კვლევაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზა.

(გ) გვიჩვენოს ფერთამეტყველების კვლევაში ე. წ. ევოლუციური თეორიისა და დალტონიზმის თეორიის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტები.

(დ) წარმოგვიდგინოს ფერთა აღქმის თაობაზე ძველ ბერძენ მოაზროვნეთა და თანამედროვე მკვლევართა თეორიების თანმხვედრი და განმასხვავებელი საკითხები.

(ე) გააანალიზოს ძველი ბერძნების ქრომატული აღქმის შესწავლაში ლიტერატურული, ეთნოგრაფიული და რელიგიურ-მითოლოგიური ფაქტორების გათვალისწინების შედეგი.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

10. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამომდინარეობს ტექსტიდან?

- I. ძველ ბერძენთა ფერთამეტყველების საკუთარი ანალიზით გოეთე დალტონიზმის ვერსიის მომხრეებს დაუპირისპირდა.
- II. გოეთემ არ გაიზიარა ფერთა აღქმის შესახებ ნიუტონის თვალსაზრისი, რომელსაც მეცნიერი ვიზუალურ ცდებზე დაყრდნობით გამოთქვამდა.
- III. გოეთეს შეხედულება სინათლის აღქმის შესახებ ტრადიციულ მისტიკურ საფუძველს ეყრდნობოდა.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I და II.
- (ბ) მხოლოდ I და III.
- (გ) მხოლოდ II.
- (დ) მხოლოდ II და III.
- (ე) სამივე.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

11. ტექსტის მიხედვით, მკვლევარ გლედსტონის რომელი მოსაზრება გვხვდება ჯერ კიდევ გოეთესთან?

- (ა) კაცობრიობის ისტორიის ადრეულ ეტაპზე ადამიანებს ფერების აღქმის სუსტი უნარი ჰქონდათ.
- (ბ) ჰომეროსი საგნის ბრწყინვალეობით უფროა დაინტერესებული, ვიდრე – ფერის გრადაციით.
- (გ) ძველ ბერძნებთან ქრომატული ტერმინების საფუძველი სიბნელისა და სინათლის კონტრასტია.
- (დ) ძველი ბერძნებისათვის ფერი მშვენიერების აღწერის ატრიბუტს არ წარმოადგენდა.
- (ე) ჰომეროსი ერთისა და იმავე საგნის დახასიათებისას ეპითეტებად ურთიერთგამომრიცხავ ფერებს იყენებდა.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

12. ავტორი აღნიშნავს, რომ გოეთეს შეხედულებები ნასაზრდოებია ძველ ბერძენ მოაზროვნეთა კონცეფციებით. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება ადასტურებს ამას?

- (ა) როგორც გოეთე, ისე ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის მხედველობის ორგანო – თვალი მზიურ ძალასთან იყო დაკავშირებული.
- (ბ) ძველ ბერძენთა მსგავსად, გოეთეც თითქმის არ განიხილავდა ფერს, როგორც მშვენიერების ერთ-ერთ ატრიბუტს.
- (გ) ძველი ბერძნების კვალდაკვალ, გოეთესაც მიაჩნდა, რომ ფერთა აღქმაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგნის ბრწყინვალეობას.
- (დ) ძველ ბერძენთა მსგავსად, გოეთეც მიიჩნევდა, რომ ფერთა შორის განსხვავება უფრო რაოდენობრივია, ვიდრე – ხარისხობრივი.
- (ე) ძველი ბერძნების მსგავსად, გოეთეც არ იზიარებდა თვალსაზრისს, რომ თვალი ხედავდა იმ ფერს, რომელსაც თვითონ ქმნიდა.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

13. რომელი მეცნიერის კვლევამ გაამყარა მოსაზრება, რომ ფერთა გარჩევის უნარი არ უკავშირდება ცივილიზაციის ხარისხს?

- (ა) ალენის.
- (ბ) გლედსტოუნის.
- (გ) ირვინის.
- (დ) მაგნუსის.
- (ე) პლატნორის.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

14. რატომ ვერ მოიპოვა ევოლუციონისტების თეორიამ მკვლევარ მარტის კეთილგანწყობა?

- (ა) ევოლუციონისტები მხედველობის ორგანოს ევოლუციას დროის მცირე მონაკვეთში მოიაზრებდნენ, რაც ფაქტობრივი მასალით არ მტკიცდება.
- (ბ) ევოლუციონისტები თავიანთ თეორიებში ფიზიოლოგიურ ფაქტორებს არ ითვალისწინებდნენ.
- (გ) ევოლუციონისტები მიიჩნევდნენ, რომ ძველ ბერძნებს დეფექტური მხედველობა ჰქონდათ.
- (დ) ევოლუციონისტები მიიჩნევდნენ, რომ ძველ ბერძნებს, საზოგადოდ, ფერები ნაკლებად იზიდავდათ და აინტერესებდათ.
- (ე) ევოლუციონისტების შეხედულებების საპირისპიროდ, არ დასტურდება ფაქტი იმისა, რომ „ნაკლებად ცივილიზებულ ადამიანებს“ ფერთა გარჩევა ნაკლებად შეეძლოთ.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

15. ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მოსაზრება შეიძლება მივიჩნიოთ ძველ ბერძენთა „ანომალიური ხედვის“ – დალტონიზმის ვერსიის მომხრეთა დასაყრდენ არგუმენტად?

- (ა) ძველმა ბერძნებმა სინათლის მხრივ ყველაზე სუსტი ფერები – ლურჯი, იასამნისფერი – მოგვიანებით გაარჩიეს.
- (ბ) ძველი ბერძნები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ხარისხობრივ განსხვავებას შთანთქმულ ან დაშლილ სინათლეს შორის.
- (გ) ფერთა ძველბერძნული ტერმინოლოგია, თანამედროვესთან შედარებით, არასრულია, ნაკლებია.
- (დ) ძველბერძნულ წყაროებში შინაარსი ტერმინისა „ყვითელი“ ხან წითლისკენ იხრება, ხან კი – ლურჯისაკენ.
- (ე) ძველ საბერძნეთში არ გაჩენილა ტექნიკური ფერის შექმნისა და გამოყენების საჭიროება.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

16. ჩამოთვლილთაგან რომელი თეორიის მიმდევრად გვევლინება მაგნუსი?

თეორიისა,

- (ა) რომელიც „ბერძენთა ანომალიურ ხედვას“ აღიარებს.
- (ბ) რომლის თანახმადაც ძველ ბერძნებს ფერები ნაკლებად აინტერესებდათ.
- (გ) რომელიც ცივილიზაციებში ქრომატული აღქმის ევოლუციას გვიმტკიცებს.
- (დ) რომელიც ფერთა შეზღუდულ ტერმინოლოგიას პოეტური ხედვისა და ენის თავისებურებებს უკავშირებს.
- (ე) რომლის მიხედვითაც ძველ ბერძნებთან საგნის ბრწყინვალეობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

17. გლედსტოუნის დასკვნით, „დღეს სამი წლის ბავშვმა უფრო მეტი იცის ფერთა შესახებ, ვიდრე ჰომეროსმა იცოდა.“ ტექსტის მიხედვით, რომელ მოსაზრებაზე დაყრდნობით გამოთქვა მან ეს დასკვნა?

- (ა) ძველ ბერძნებს ანომალიური მხედველობა, ანუ ე. წ. „ფერთა სიბრმავე“ ახასიათებდათ.
- (ბ) ძველი საბერძნეთის ეპოქაში ადამიანის მხედველობის ორგანო ჩანასახის სტადიაში იყო.
- (გ) ძველი ბერძნები მკვეთრად არ მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან ლურჯსა და წითელს (იგივე, მეწამული).
- (დ) ძველი ბერძნებისათვის საგნის ბრწყინვალეობის ხარისხს ჰქონდა მნიშვნელობა და არა – მისი შეფერილობის ნიუანსებს.
- (ე) ძველ ბერძნებზე ფერები გაცილებით ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენდა, ვიდრე – თანამედროვე ადამიანებზე.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

18. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული ტექსტის მიხედვით?

- (ა) გლედსტოუნის თვალსაზრისი უფრო ადრეულია, ვიდრე დარვინის თეორია და ამ თეორიამდე არსებული მოსაზრება სახეობათა ევოლუციის შესახებ.
- (ბ) დარვინის ნაშრომი წინ უსწრებდა სახეობათა ევოლუციის შესახებ გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომელზედაც დააფუძნა თავისი თეორია გლედსტოუნმა.
- (გ) გოეთეს მოსაზრება წინ უსწრებდა როგორც დალტონისა და ირვინის, ისე გლედსტოუნის თეორიებს.
- (დ) დალტონის თეორია წინ უსწრებდა გოეთეს მოსაზრებას, ამ უკანასკნელს კი მოჰყვა ირვინისა და გლედსტოუნის განსხვავებული თეორიები.
- (ე) ირვინის ნაშრომი წინ უსწრებდა დალტონის თეორიას, ამ უკანასკნელს კი უშუალოდ მოჰყვა ძველ ბერძენთა დალტონიზმის ვერსიის კრიტიკა მაქსუელ-სტიუარტის მიერ.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

19. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ დასტურდება მკვლევარ მარტის თეორიაში?

- (ა) ძველი ბერძნები ფერების ფართო სპექტრს ხედავდნენ.
- (ბ) ძველ ბერძნებს ტექნიკური ფერისა და მისი ტერმინოლოგიის შექმნა არ დასჭირდათ.
- (გ) ანტიკურობაში ფერის კვლევისას საკმარისი არ არის ფიზიოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება.
- (დ) ძველი საბერძნეთის ლიტერატურაში ფერის ტერმინთა გამოყენება მწერლის სუბიექტურ ხედვაზე იყო დამოკიდებული.
- (ე) ძველ ბერძენთათვის ფერებს შორის განსხვავება უფრო რაოდენობრივი იყო, ვიდრე – ხარისხობრივი.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

20. ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს მართებულად ორი მეცნიერის – გლედსტოუნისა და მარტის – შეხედულებათა შედარებას?

- (ა) ორივე, მარტიც და გლედსტოუნიც, იზიარებდა მოსაზრებას, რომ ძველ ბერძნებთან არასრულყოფილია ფერთა ტერმინოლოგია, თუმცა ამ ფაქტს სხვადასხვა მიზეზით ხსნიდნენ.
- (ბ) გლედსტოუნის მსგავსად, მარტიც მიიჩნევდა, რომ უცივილიზაციო ტომები ფერებს ცივილიზებული ადამიანისაგან განსხვავებულად არ აღიქვამენ.
- (გ) გლედსტოუნის მოსაზრებას, რომ ძველი ბერძნები ერთმანეთისაგან არჩევდნენ სიბნელესა და სინათლეს, მაგრამ ფერებს ვერ განასხვავებდნენ, მარტიც იზიარებდა.
- (დ) გლედსტოუნი და მარტი მიიჩნევდნენ, რომ ძველი ბერძნები ფერთა ფართო სპექტრს ხედავდნენ, მაგრამ არ ჰქონდათ მათი აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინი.
- (ე) მარტი იზიარებდა გლედსტოუნის თვალსაზრისს, რომ ანტიკურობაში ფერთა აღქმის კვლევისას მხოლოდ ფიზიოლოგიურ ფაქტორთა გათვალისწინება არ იყო საკმარისი.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

21. ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს ტექსტიდან?

- I. ავტორი გამოყოფს მკვლევარ მარტის მნიშვნელოვან როლს ძველ ბერძენთა ფერთამეტყველების შესწავლის ისტორიაში.
- II. ავტორის აზრით, პლატონორმა ძველ ბერძენთა მიერ ფერების აღქმის შეფასებაში დალტონიზმის ვერსია სრულად გაიზიარა.
- III. ავტორი აღნიშნავს, რომ მაგნუსის თეორია კრიტიკულად შეაფასა არა მხოლოდ მარტიმ, არამედ ალენმაც.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I და II.
- (ბ) მხოლოდ I და III.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) მხოლოდ II და III.
- (ე) სამივე.

ტექსტი B	შეკით. 9	შეკით. 10	შეკით. 11	შეკით. 12	შეკით. 13	შეკით. 14	შეკით. 15	შეკით. 16	შეკით. 17	შეკით. 18	შეკით. 19	შეკით. 20	შეკით. 21
----------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

ლოგიკური მსჯელობა

14 ამოცანა

ამოცანა 22.

მოცემულია, რომ:

- ტყუილია, რომ ადამიანს თუ მშვილდი არ აქვს, მაშინ მას არც კაპარჭი აქვს.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოცემული წინადადების **ტოლფასი**?

- (ა) არსებობს ადამიანი, რომელსაც მშვილდი აქვს, ხოლო კაპარჭი – არა.
- (ბ) ტყუილია, რომ ადამიანს თუ კაპარჭი არ აქვს, მაშინ მას არც მშვილდი აქვს.
- (გ) არსებობს ადამიანი, რომელსაც კაპარჭი აქვს, ხოლო მშვილდი – არა.
- (დ) ტყუილია, რომ ადამიანს თუ მშვილდი აქვს, მაშინ მას კაპარჭიც აქვს.
- (ე) არსებობს ადამიანი, რომელსაც ან მშვილდი აქვს, ან კაპარჭი.

ერთ-ერთი ქვეყნის ოპოზიციონერი პოლიტიკოსი:

კვლევის შედეგები ააშკარავებს, რომ საკრებულოს მუშაობის პრიორიტეტები არასწორად არის განსაზღვრული. კერძოდ: საკრებულოს წევრებს ამომრჩევლებთან კომუნიკაცია აკლიათ და ისინი საკუთარი ინიციატივების განხორციელებამდე ნაკლებად მართავენ საჯარო განხილვებს, არ არიან ორიენტირებულნი მოქალაქეების საჭიროებების გაგებაზე, არ დგამენ ნაბიჯებს იმისათვის, რომ კონკრეტული პრობლემების განხილვა-გადაწყვეტის დროს რიგითი ამომრჩევლის მოსაზრებები გაიზიარონ და ჩართონ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი ფაქტი გაამყარებს ოპოზიციონერის მოსაზრების მართებულობას?

- (ა) საკრებულოში უმრავლესობას ერთი პოლიტიკური პარტიის წევრები წარმოადგენენ.
- (ბ) ხშირად მოქალაქეები, რომლებსაც ესა თუ ის ცვლილება ეხება, საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იგებენ ამ ცვლილებების შესახებ.
- (გ) გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკრებულოს წევრების ნაწილი არ იღებს მონაწილეობას.
- (დ) ზოგიერთი მოქალაქე არ არის დაინტერესებული საკრებულოს საქმიანობით და არ სურს განხილვებში მონაწილეობის მიღება.
- (ე) საკრებულოს წევრები ორიენტირებულნი არიან იმაზე, რომ შედარებით მოკლე დროში აღმოიფხვრას ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვილი პრობლემები.

ამოცანა 24.

თამაზმა, რომელმაც ნაშრომისთვის ინტერნეტ-გამოკითხვა ჩაატარა, შეავსო შემდეგი ცხრილი: პირველ სვეტში მითითებულია გარკვეული კატეგორია, ხოლო მეორეში – იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც შესაბამის კატეგორიაში ხვდება (A, B, C, D, E და F რიცხვებს აღნიშნავს).

კატეგორია	რაოდენობა
დასაქმებული	A
მაგისტრის ხარისხის მქონე	B
მაგისტრის ხარისხის მქონე დასაქმებული	C
მაგისტრის ხარისხის მქონე ან დასაქმებული (ერთ-ერთი მაინც)	D
მაგისტრის ხარისხის მქონე დაუსაქმებელი	E
მაგისტრის ხარისხის არმქონე დასაქმებული	F

თამაზმა შენიშნა, რომ ამ ექვსი მონაცემიდან მხოლოდ ნაწილის ცოდნა იყო საკმარისი, რომ დაწარჩენი რიცხვები ეანგარიშა (მაგ., A, B და C-ს საშუალებით მას შეეძლო ეანგარიშა D, E და F).

ქვემოთ მოცემული სამეულებიდან რომლის ცოდნა არ არის საკმარისი დაწარჩენი სამის საანგარიშოდ?

- (ა) B, C, E.
- (ბ) A, B, E.
- (გ) D, E, F.
- (დ) C, D, F.
- (ე) A, B, D.

ამოცანა 25.

ორიენტირებაში შეჯიბრში სულ ხუთი მონაწილე იყო, რომლებიც რიგ-რიგობით მივიდნენ დანიშნულების ადგილას. შეჯიბრის შესახებ მათ განაცხადეს:

აკაკი: ელდარი პირველი მივიდა.

ბორისი: ელდარი ჩემზე ადრე მივიდა.

გოჩა: ბორისი ბოლო მივიდა.

დიტო: აკაკი არ მივიდა ბოლო.

ელდარი: მე აკაკიზე ადრე მივედი.

ცნობილია, რომ ვინც დანიშნულების ადგილას მეოთხე და მეხუთე მივიდა, მათ მიერ გაკეთებული განცხადება მცდარია, დანარჩენების კი – ჭეშმარიტი. ვინ მივიდა პირველი?

(ა) აკაკი.

(ბ) ბორისი.

(გ) გოჩა.

(დ) დიტო.

(ე) ელდარი.


ამოცანა 26.

ოთხი მეზობელი – ომარი, პავლე, ჟიული და რამაზი – გზაჯვარედინის კუთხეებში დგას, თითო კუთხეში – თითო. ეს ადგილები მონიშნულია ლათინური ასოებით. ცნობილია, რომ:

- ომარი პავლესგან ზუსტად ჩრდილოეთით დგას.
- ჟიული რამაზისგან ზუსტად დასავლეთით დგას.

ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

- (ა) თუ რამაზი D კუთხეში დგას, მაშინ ჟიული C კუთხეში დგას.
- (ბ) თუ რამაზი A კუთხეში დგას, მაშინ პავლე C კუთხეში დგას.
- (გ) თუ ომარი B კუთხეში დგას, მაშინ ჟიული A კუთხეში დგას.
- (დ) თუ ომარი C კუთხეში დგას, მაშინ პავლე A კუთხეში დგას.
- (ე) თუ პავლე D კუთხეში დგას, მაშინ ჟიული B კუთხეში დგას.



ამოცანა 27.

A და B რაიმე წინადადებებია. ქვემოთ ჩამოთვლილი ხუთი წინადადებიდან რომელი არ არის დანარჩენი ოთხიდან არცერთის ტოლფასი?

- (ა) A არის B-ს აუცილებელი პირობა.
- (ბ) A არის B-ს საკმარისი პირობა.
- (გ) A და B ტოლფასია.
- (დ) A მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი, როცა ჭეშმარიტია B.
- (ე) A და B ერთდროულად ჭეშმარიტია ან ერთდროულად მცდარია.

ამოცანა 28.

კვლევის შედეგები:

ქართველი მომხმარებელი განვითარებულ ქვეყნებში წარმოებულ პროდუქტებს უფრო მაღალხარისხოვნად მიიჩნევს, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში წარმოებულს. მაგალითად, გამოკითხვებისას, გერმანიის, იაპონიის, ა.შ.შ-ს და ა.შ. პროდუქციას მაღალხარისხოვნად აფასებენ, ხოლო თურქეთის, პოლონეთის, საქართველოს, ჩინეთის და ა.შ. პროდუქციას – დაბალხარისხოვნად. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში გაყიდული პროდუქციის უდიდესი ნაწილი სწორედ განვითარებადი ქვეყნების მიერ არის წარმოებული.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი არ გამოდგება კვლევის შედეგებში არსებული მოჩვენებითი წინააღმდეგობის გასაქარწყლებლად?

- (ა) მომხმარებელთა უდიდესი ნაწილისთვის პროდუქტის შეძენისას წარმოების ადგილი მთავარ გადამწყვეტ ფაქტორს არ წარმოადგენს.
- (ბ) განვითარებულ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია საგრძნობლად ძვირია განვითარებად ქვეყნებში წარმოებულ ანალოგიურ პროდუქციასთან შედარებით.
- (გ) ადგილობრივი წარმოების წახალისების წარმატებული კამპანიის შედეგად, ქართველი მომხმარებელი მსგავსი პროდუქციის არსებობის შემთხვევაში უპირატესობას ადგილობრივ ნაწარმს ანიჭებს.
- (დ) ყოველი მომხმარებელი ცდილობს, რომ ყველაზე მაღალი ხარისხის პროდუქცია შეიძინოს.
- (ე) ლოგისტიკური და ეკონომიკური ფაქტორების გამო, განვითარებულ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია უფრო ნაკლებადაა ხელმისაწვდომი ქართველი მომხმარებლისთვის.

ამოცანა 29.

ფორუმზე მიმოწერაში ოთხი მომხმარებელი – აბოტი, კოიოტი, შიფტი, მორატი – მონაწილეობდა. ამ ოთხიდან ერთი დეზინფორმატორია, ერთიც – ტროლი, ორივე ყოველთვის ტყუილს წერს, დანარჩენი ორი კი ყოველთვის – სიმართლეს.

აბოტი: მორატი დეზინფორმატორია.

კოიოტი: აბოტმა სიცრუე დაწერა.

შიფტი: კოიოტმა სიცრუე დაწერა.

მორატი: შიფტი არ არის ტროლი.

ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი ამ მიმოწერიდან?

- (ა) აბოტი დეზინფორმატორია, შიფტი – ტროლი.
- (ბ) კოიოტი დეზინფორმატორია, მორატი – ტროლი.
- (გ) შიფტი დეზინფორმატორია, კოიოტი – ტროლი.
- (დ) მორატი დეზინფორმატორია, აბოტი – ტროლი.
- (ე) შიფტი დეზინფორმატორია, აბოტი – ტროლი.

ამოცანები 30-32 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

სასწავლო ცენტრმა მიიღო მსმენელთა ნაკადი, რომელიც ორ – **A** და **B** – საგანში უნდა მოამზადოს. სრული კურსი 9 მეცადინეობას მოიცავს, რომლებიც მოცემული განრიგით სამ დღეზე უნდა გადასწავლილდეს:

A საგანში ჩატარდება ოთხი მეცადინეობა: ერთი ლექცია, ერთი სემინარი და ორი პრაქტიკული.

B საგანში ჩატარდება ხუთი მეცადინეობა: ერთი ლექცია, ორი სემინარი და ორი პრაქტიკული.

სასწავლო განრიგის განსაზღვრისას სრულდება პირობები:

11 მაისი	18 მაისი	25 მაისი
10 ⁰⁰ -----	10 ⁰⁰ -----	10 ⁰⁰ -----
13 ⁰⁰ -----	13 ⁰⁰ -----	13 ⁰⁰ -----
16 ⁰⁰ -----	16 ⁰⁰ -----	16 ⁰⁰ -----

- თითოეულ საგანში ლექცია რამდენიმე დღით მაინც უნდა უსწრებდეს წინ ამ საგნის პირველ სემინარს.
- ერთი და იმავე საგნის ორი პრაქტიკული ერთსა და იმავე დღეს ვერ ჩატარდება.
- ერთი და იმავე საგნის ორი სემინარი ერთსა და იმავე დღეს ვერ ჩატარდება.
- სამივე დღის 10⁰⁰ საათზე ერთი და იმავე საგნის მეცადინეობა ჩატარდება.
- 11 მაისის 10⁰⁰ საათზე ლექცია ჩატარდება.
- 11 მაისის 13⁰⁰ და 16⁰⁰ საათებზე ერთი და იმავე საგნის მეცადინეობა ჩატარდება.
- 18 მაისის 13⁰⁰ საათზე A საგნის მეცადინეობა ჩატარდება.
- 25 მაისის 16⁰⁰ საათზე პრაქტიკული ჩატარდება.

ამოცანა 30.

ჩამოთვლილთაგან რომელია სრული კურსის განრიგის დასაშვები ვარიანტი?

	11 მაისი	18 მაისი	25 მაისი
(ა)	10 ⁰⁰ A ლექცია	10 ⁰⁰ B სემინარი	10 ⁰⁰ A სემინარი
	13 ⁰⁰ B პრაქტიკული	13 ⁰⁰ A პრაქტიკული	13 ⁰⁰ B სემინარი
	16 ⁰⁰ B ლექცია	16 ⁰⁰ A პრაქტიკული	16 ⁰⁰ B პრაქტიკული
	11 მაისი	18 მაისი	25 მაისი
(ბ)	10 ⁰⁰ B ლექცია	10 ⁰⁰ B პრაქტიკული	10 ⁰⁰ B სემინარი
	13 ⁰⁰ A პრაქტიკული	13 ⁰⁰ A სემინარი	13 ⁰⁰ B პრაქტიკული
	16 ⁰⁰ A ლექცია	16 ⁰⁰ B სემინარი	16 ⁰⁰ A პრაქტიკული
	11 მაისი	18 მაისი	25 მაისი
(გ)	10 ⁰⁰ B ლექცია	10 ⁰⁰ B სემინარი	10 ⁰⁰ B პრაქტიკული
	13 ⁰⁰ A ლექცია	13 ⁰⁰ A პრაქტიკული	13 ⁰⁰ B სემინარი
	16 ⁰⁰ A სემინარი	16 ⁰⁰ B პრაქტიკული	16 ⁰⁰ A პრაქტიკული
	11 მაისი	18 მაისი	25 მაისი
(დ)	10 ⁰⁰ A ლექცია	10 ⁰⁰ A პრაქტიკული	10 ⁰⁰ A სემინარი
	13 ⁰⁰ B პრაქტიკული	13 ⁰⁰ A პრაქტიკული	13 ⁰⁰ B სემინარი
	16 ⁰⁰ B ლექცია	16 ⁰⁰ B სემინარი	16 ⁰⁰ B პრაქტიკული
	11 მაისი	18 მაისი	25 მაისი
(ე)	10 ⁰⁰ B ლექცია	10 ⁰⁰ B სემინარი	10 ⁰⁰ B სემინარი
	13 ⁰⁰ A პრაქტიკული	13 ⁰⁰ A პრაქტიკული	13 ⁰⁰ A სემინარი
	16 ⁰⁰ B პრაქტიკული	16 ⁰⁰ A ლექცია	16 ⁰⁰ B პრაქტიკული

ამოცანა 31.

ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) 11 მაისს 13⁰⁰ საათზე A საგნის მეცადინეობა უნდა ჩატარდეს.
- (ბ) 18 მაისს 10⁰⁰ საათზე B საგნის მეცადინეობა უნდა ჩატარდეს.
- (გ) 18 მაისს 16⁰⁰ საათზე B საგნის მეცადინეობა უნდა ჩატარდეს.
- (დ) 25 მაისს 13⁰⁰ საათზე B საგნის მეცადინეობა უნდა ჩატარდეს.
- (ე) 25 მაისს 16⁰⁰ საათზე A საგნის მეცადინეობა უნდა ჩატარდეს.

ამოცანა 32.

თუ A საგნის ლექცია უფრო ადრე ჩატარდება, ვიდრე B საგნის ლექცია, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი?

- (ა) პირველი სემინარი ჩატარდება A საგანში.
- (ბ) პირველი პრაქტიკული ჩატარდება B საგანში.
- (გ) თითოეულ დღეს ერთი პრაქტიკული მაინც ჩატარდება.
- (დ) ბოლო სემინარი ჩატარდება A საგანში.
- (ე) ბოლო პრაქტიკული ჩატარდება B საგანში.

ამოცანები 33-35 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

სპორტული გამოფენის პავილიონი ცხრა სექციისაგან შედგება. პავილიონის სქემა, სექციებს შორის დასაშვები გადაადგილების მიმართულებები და შესასვლელ-გამოსასვლელი მოცემულია ნახაზზე. გამოფენაში ცხრა კომპანია მონაწილეობს, თითოეულს თითო სექცია უჭირავს. ეს კომპანიები სამ კატეგორიად იყოფა:


ტანსაცმელი: ადიდასი, ბრუკსი, პუმა, მიზუნო;

კვება: კლიფი, ნუტრექსი, ფაუერბარი;

ელექტრონიკა: გარმინი, თაიმექსი.

ცნობილია, რომ:






- არ არსებობს ორი მეზობელი სექცია ისეთი, რომ ორივე ერთი და იმავე კატეგორიის კომპანიას უჭირავს.
- შეუძლებელია, რომ პავილიონში ერთი შესვლით დამთვალიერებელი მოხვდეს როგორც ადიდასის, ისე ბრუკსის სექციაში.
- შეუძლებელია, რომ პავილიონში ერთი შესვლით დამთვალიერებელი მოხვდეს როგორც მიზუნოს, ისე ნუტრექსის სექციაში.



შენიშვნა: ორ სექციას ეწოდება მეზობელი, თუ ერთი მათგანიდან მეორეში მოხვედრა შესაძლებელია სხვა სექციის გავლის გარეშე.

ამოცანა 33.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს პავილიონის სექციებში კომპანიების განაწილება?



ამოცანა 34.

თუ მარიამი მხოლოდ ერთხელ შევა და გამოვა პავილიონიდან, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი?

- (ა) მარიამი შეუძლებელია მოხვდეს ტანსაცმლის კატეგორიის ყოველ სექციაში.
- (ბ) მარიამი შეუძლებელია მოხვდეს კვების კატეგორიის ყოველ სექციაში.
- (გ) მარიამი აუცილებლად მოხვდება ელექტრონიკის კატეგორიის ყოველ სექციაში.
- (დ) მარიამი აუცილებლად მოხვდება კვების კატეგორიის ერთ სექციაში მაინც.
- (ე) მარიამს შეუძლია მოხვდეს შვიდ სხვადასხვა სექციაში.

ამოცანა 35.

გურამმა ისე გაიარა პავილიონი, რომ მოხვდა სექციების მინიმალურ რაოდენობაში. ჩამოთვლილთაგან კომპანიების რომელ სამეულზე შეიძლება ითქვას დანამდვილებით, რომ გურამი მათგან ზუსტად ერთის სექციაში მოხვდა?

- (ა) ადიდასი, ბრუკსი, პუმა.
- (ბ) ადიდასი, პუმა, ნუტრექსი.
- (გ) ფაუერბარი, კლიფი, თაიმექსი.
- (დ) კლიფი, თაიმექსი, გარმინი.
- (ე) პუმა, ფაუერბარი, კლიფი.

რადიენობრივი მსჯელობა

7 ამოცანა

ამოცანა 36.

რომელი თანაფარდობებია მართებული?

(ა) $\frac{2018}{18} < \frac{2019}{19} < \frac{2020}{20}$

(ბ) $\frac{2018}{18} > \frac{2019}{19} < \frac{2020}{20}$

(გ) $\frac{2018}{18} < \frac{2019}{19} > \frac{2020}{20}$

(დ) $\frac{2018}{18} > \frac{2019}{19} > \frac{2020}{20}$

(ე) $\frac{2018}{18} = \frac{2019}{19} = \frac{2020}{20}$

ამოცანა 37.

ორი სამნიშნა ნატურალური რიცხვის ათობით ჩანაწერში ექვსივე ციფრი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ამ რიცხვების ჯამი?

(ა) 321

(ბ) 329

(გ) 333


(დ) 336

(ე) 339


ამოცანა 38.

ერთი და იმავე ზომის 14 რუხი კუბი და ასეთივე ზომის 13 შავი კუბი ისე შეაწებეს ერთმანეთს, რომ მიიღეს ერთი დიდი კუბი (იხ. ნახაზი 1).


ქვემოთ მოცემული სამი – I, II, III – ნახაზიდან რომელზე შეიძლება იყოს გამოსახული ეს დიდი კუბი (სხვა რაკურსით)?




ნახაზი 1



ნახაზი I



ნახაზი II



ნახაზი III

- (ა) მხოლოდ I-ზე. (ბ) მხოლოდ II-ზე. (გ) მხოლოდ III-ზე. (დ) მხოლოდ I-სა და II-ზე. (ე) მხოლოდ I-სა და III-ზე.

ამოცანა 39.


ერთი და იმავე V დმ³ მოცულობის მქონე ორ – A და B – ავზთან თითო მილია მიერთებული (იხ. ნახაზი 1). A ავზში მილით წყალი თანაბრად ჩაედინება, B ავზიდან კი თანაბრად გამოედინება.

დროის $t = 0$ მომენტში, როცა A ავზი ცარიელი იყო, ხოლო B ავზი – ბოლომდე სავსე, ორივე მილი (ერთდროულად) ამოქმედდა. მე-2 (შესაბამისად, მე-3) ნახაზზე მსხვილი უწყვეტი ხაზით მოცემულია მართკუთხა საკოორდინატო სისტემაში A (შესაბამისად, B) ავზში წყლის მოცულობის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. ამ გრაფიკების მიხედვით, განსაზღვრეთ, მილების ამოქმედების მომენტიდან რამდენ წუთში იქნებოდა ორივე ავზში ერთი და იმავე მოცულობის წყალი.




ნახაზი 1

- (ა) 4 წთ-ში.
- (ბ) 5 წთ-ში.
- (გ) 6 წთ-ში.
- (დ) 7 წთ-ში.
- (ე) 8 წთ-ში.



ნახაზი 2



ნახაზი 3

ამოცანა 40.

მთელი დადებითი რიცხვი გაამრავლეს 9-ზე, რის შედეგადაც მიიღეს ორნიშნა რიცხვი n .

განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

- I. n რიცხვის ციფრთა ჯამი მეტია 7-ზე.
- II. n რიცხვის ციფრთა ნამრავლი ნაკლებია 7-ზე.

იმისათვის, რომ ვიპოვოთ n რიცხვი,

- (ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
- (გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.
- (დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
- (ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.

ამოცანა 41.

მოელი დადებითი n რიცხვის შესახებ მოცემულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი:

„თუ _____ I _____, მაშინ _____ II _____.“

ფრაგმენტთა შემდეგი ორი I და II სვეტიდან

I სვეტი

$$M. (n-2)^{n-4} = 1$$

$$N. (n-6)^{n-14} = 1$$

II სვეტი

$$P. n \text{ იყოფა } 3\text{-ზე}$$

$$Q. n \text{ იყოფა } 4\text{-ზე}$$

$$R. n \text{ იყოფა } 7\text{-ზე}$$

აარჩიეთ თითო ფრაგმენტი და ჩასვით ისინი შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

- (ა) $M \rightarrow P$ (ბ) $M \rightarrow Q$ (გ) $M \rightarrow R$ (დ) $N \rightarrow Q$ (ე) $N \rightarrow R$


ამოცანა 42.

H სმ სიმაღლისა და R სმ ფუძის რადიუსის მქონე ცილინდრის ფორმის სხეულიდან (იხ. ნახაზი 1) უდანაკარგოდ ამოჭრეს იმავე H სმ სიმაღლისა და r სმ ფუძის რადიუსის მქონე ცილინდრის ფორმის ნაწილი, რის შედეგადაც მიიღეს მე-2 ნახაზზე გამოსახული სხეული.


ქვემოთ მოცემული ოთხი პირობიდან რომელი ორია საკმარისი იმის დასადგენად, 1-ელ ნახაზზე გამოსახული სხეულის ზედაპირის სრულად და ერთგვაროვნად შეღებვას უფრო მეტი საღებავი დასჭირდება თუ მე-2 ნახაზზე გამოსახული სხეულის იმავე საღებავით სრულად და ერთგვაროვნად შეღებვას?

- I. $r = 4$.
- II. $R = 6$.
- III. $H = 2$.
- IV. $R - r = 2$.

- (ა) I და II (ბ) I და III (გ) I და IV (დ) II და III (ე) III და IV



ნახაზი 1



ნახაზი 2

ტესტის დასასრული

წაკითხულის გააზრება

ლოგიკური მსჯელობა

რაოდენობრივი მსჯელობა